დუაიტ ეიზენჰაუერი
აშშ-ის 34-ე პრეზიდენტი

ვასილ კაჭარავა

დუაიტ ეიზენჰაუერი დაიბადა 1890 წლის 14 ოქტომბერს ტეხასის ქალაქ დენისონში. ცნობილი ვესტ პოინტის სამხედრო აკადემიის დამთავრების შემდეგ იგი პროფესიონალი სამხედრო გახდა. აშკარად ნიჭიერი ოფიცრის არაფრით გამორჩეული კარიერა II მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად სრულიად თავბრუდამხვევად, ალბათ უფრო ნაპოლეონის არმიის ოფიცრისთვის შესაფერის სტილში წარიმართა. 1941 წლის ზაფხულში ეიზენჰაუერი უკვე ბრიგადის გენერალი გახდა, 1942 წლის ივნისში კი ამერიკის გენერალური შტაბის უფროსის, გენერალ ჯორჯ მარშალის გადაწყვეტილებით და, ბუნებრივია, პრეზიდენტის თანხმობით, დაინიშნა ევროპაში მოკავშირეთა გაერთიანებული ძალების ხელმძღვანელად. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ეს გადაწყვეტილება ბრიტანელებმაც მოიწონეს. მრავალეროვნულ არმიაში, სადაც ამერიკელების, ბრიტანელებისა და კანადელების გვერდით გერმანიის მიერ დაპყრობილი საფრანგეთისა და პოლონეთის ქვედანაყოფებიც იბრძოდნენ, სამხედრო პროფესიონალიზმის გარდა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეიზენჰაუერის დიპლომატიურ ნიჭსა და ადამიანურ თვისებებს.

ეიზენჰაუერის ხელმძღვანელობით ამერიკელებმა 1943 წელს დიდი დესანტი გადასხეს ჩრდილოეთ აფრიკაში და ბრიტანელ მოკავშირეებთან ერთად დაამარცხეს სახელგანთქმული გერმანელი ფელდმარშლის – ერნსტ რომელის – აფრიკული კორპუსი. იმავე წელს დაიკავეს კუნძული სიცილია და სამხრეთ იტალიაშიც შეიჭრნენ. 1944 წლის 6 ივნისს ეიზენჰაუერი ომის ერთ-ერთ უმთავრეს ოპერაციას – „ოვერლორდს“ ხელმძღვანელობდა და წარმატებულადაც გადასხა უზარმაზარი დესანტი გერმანიის მიერ ოკუპირებული საფრანგეთის სანაპიროზე. მოკავშირეებმა სწორედ მისი სარდლობით გაათავისუფლეს და-

ერნსტ რომელი (1891-1944)

სამხედრო ოპერაცია „ოვერლორდი“ (ინგლ.Operation Overlord), რომელსაც ასევე ნორმანდიის ბრძოლასაც უწოდებენ, არის დასავლელი მოკავშირეების მიერ ჩატარებული ყველაზე ფართომასშტაბიანი სადესანტო ოპერაცია, რომელიც მიზნად ისახავდა გერმანელთა განდევნას ჩრდილოეთ საფრანგეთიდან და იქ მომდევნო ოპერაციებისათვის მყარი ნიადაგის შექმნას. „ოვერლორდის“ ოპერაცია მოიცავდა ჯარების გადასხმას ნორმანდიაში (ოპერაცია „ნეპტუნი“) და შემდგომ სამხედრო ოპერაციებს. „ოვერლორდი“ დაიწყო 1944 წლის 6 ივნისს (ოპერაციით „ნეპტუნი“, რომელსაც ასევე დი-დეის (D-Day) უწოდებენ) და 1944 წლის 25 აგვისტომდე (მოკავშირეთა ჯარების მიერ პარიზის აღება) გაგრძელდა.

სავლეთი ევროპა და გერმანიაში, მდინარე ელბაზე, საბჭოთა ჯარებს შეხვდნენ. ბუნებრივია, რომ ყოველივე ამის შემოქმედი დამსახურებულად გახდა II მსოფლიო ომის ერთ-ერთი მთავარი ტრიუმფატორი. დუაიტ ეიზენჰაუერი იყო პირველი უცხოელი, ვისაც სტალინის განკარგულებით გამარჯვების ორდენი მიანიჭეს. აღარაფერს ვიტყვით იმ პატივსა და დიდებაზე, რაც მას დასავლელი დემოკრატიებისგან ერგო, განსაკუთრებით კი – საკუთარ სამშობლოში.



ეიზენჰაუერი ძალიან პოპულარული გახდა ამერიკაში და, შესაბამისად, სულ უფრო მეტი ადამიანი ხედავდა მასში პოტენციურ და ყველაზე სასურველ პრეზიდენტს. 1948 წელს აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი ეიზენჰაუერს ჯერ ვიცეპრეზიდენტობას სთავაზობდა, მერე კი, საერთოდაც, პრეზიდენტობას უთმობდა და თავად ვიცეპრეზიდენტობას სჯერდებოდა. მაშინ ეიზენჰაუერმა უარი თქვა საპრეზიდენტო ამბიციებზე. იგი 1948 წლის ივნისიდან 1950 წლის ოქტომბრამდე კოლუმბიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი იყო. იმავე პერიოდში ეიზენჰაუერმა დაასრულა თავისი სამხედრო მოგონებები და გამოსცა მეტად ღირებული წიგნი „ჯვაროსნული ლაშქრობა ევროპაში“ (1948). სამხედრო დისციპლინას და სწრაფ გადაწყვეტილებებს მიჩვეულ გენერალს უჭირდა აკადემიურ წრესთან გაუთავებელი დისკუსიები. პროფესორებზე გაბრაზებულ ეიზენჰაუერს ისიც კი უთქვამს, რომ ინტელექტუალი „არის კაცი, რომელიც იმაზე მეტ სიტყვას იყენებს, ვიდრე საჭიროა, რათა თქვას იმაზე მეტი, რაც იცის“. როგორც უზარმაზარი არმიის ყოფილმა სარდალმა, მან სწრაფად დააწესა კონტროლი უნივერსიტეტის საკმაოდ ქაოსურ ბიუჯეტზე და თავის ხანმოკლე მმართველობის პერიოდში გაცილებით მეტი გააკეთა უნივერსიტეტისთვის, ვიდრე მისმა მრავალმა წინამორბედმა პრეზიდენტმა ათწლეულების მანძილზე. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეიზენჰაუერი არა მარტო ამერიკას, არამედ მთელ თავისუფალ სამყაროს სჭირდებოდა და 1951 წლიდან მან ნატოს ჯარების მთავარსარდლის თანამდებობა დაიკავა. იგი 15 თვის მანძილზე წარმატებით ასრულებდა ამ საპატიო და ურთულეს მოვალეობას. მაგრამ, როგორც იტყვიან, მთავარი მოვლენები წინ იყო. ერთხელ თავდაცვის მინისტრმა ჯეიმს ფორესტოლმა ეიზენჰაუერს ასეთი რამ უთხრა: „აიკ (როგორც მას შემოკლებით უწოდებდ-

ნენ), შენი სიფათის პატრონს, გინდა თუ არა, მაინც მოგიწევს პრეზიდენტობა“. და მართლაც, თითქმის ყველა ღირსებით შემკული ეს ადამიანი გახდა კიდეც რესპუბლიკური პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატი.

რესპუბლიკელებმა ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატად აირჩიეს 39 წლის სენატორი კალიფორნიიდან – რიჩარდ ნიქსონი, ცნობილი თავისი ანტიკომუნისტური განწყობებითა და ანტიამერიკული ქმედებების შემსწავლელ კომისიაში უაღრესად აქტიური საქმიანობით.

როგორც მოსალოდნელი იყო, არჩევნები ეიზენჰაუერისთვის წარმატებულად მიმდინარეობდა და რესპუბლიკელთა ლოზუნგი – „კორუფცია, კორეა, კომუნიზმი“, რაც ნიშნავდა, რომ რესპუბლიკელები დემოკრატთა დამსახურებით წარმოქმნილ ამ სამ პრობლემას მოაგვარებდნენ, საკმაოდ ეფექტიანად მუშაობდა.

უნდა ითქვას, რომ დემოკრატთა კანდიდატი, ჰარვარდის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კურსდამთავრებული ადლაი სტივენსონი თავისი ორატორული ნიჭის, კეთილსინდისიერებისა და გარემომცველი ბრწყინვალე ინტელექტუალების საქმიანობის წყალობით საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვაში თანდათან დაეწია კიდეც ეიზენჰაუერს, მაგრამ კორეის ომით გადაღლილმა ამერიკამ სტივენსონის გუნდში ვერ დაინახა ის ძალა, რომელიც ომს დაასრულებდა, ეიზენჰაუერის განცხადებამ კი, რომ თავად წავიდოდა კორეაში და შეაჩერებდა ომს, ამერიკელთა აღტაცება გამოიწვია.

საბოლოოდ, 1952 წლის 4 ნოემბერს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში ეიზენჰაურმა 39 შტატი მოიგო, დემოკრატებმა კი – მხოლოდ 9.

ამერიკელი და რუსი ჯარისკაცების შეხვედრა მდინარე ელბაზე

იოსებ სტალინს მიაწერენ სიტყვებს, რომ „ყველაფერს კადრები წყვეტენ“ და ალბათ, ძნელია არ დაეთანხმო ამ აქსიომას. ახალი პრეზიდენტის წინაშეც სწორედ ეს „უბრალო ამოცანა“ დადგა, როდესაც თავისი კაბინეტის ჩამოყალიბებას შეუდგა. როგორც განათლებული და კეთილსინდისიერი ადამიანი, ეიზენჰაუერი თანამდებობაზე დანიშვნისას გამორიცხავდა პირადი ურთიერთობების ფაქტორს და არც ერთი ძველი მეგობარი არ შეუყვანია კაბინეტისა თუ აპარატის სტრუქტურებში. პრეზიდენტი განსაკუთრებით ვერ ეგუებოდა პატრონაჟის ტრადიციებს, რაც ჯერ კიდევ არსებობდა – „პატრონაჟი თითქმის უზნეობის გამომხატველი სიტყვაა მას დემოკრატიის დანგრევა შეუძლია“, ამბობდა იგი. ეიზენჰაუერს თავის გუნდში არ სჭირდებოდა თანამდებობისთვის მებრძოლი ადამიანი. იმასაც კი წერდა: „მიმაჩნია, რომ ის ადამიანი, რომელიც დიდი პირადი მსხვერპლის გარეშე წამოვა ვაშინგტონში, არ უნდა ავიყვანოთ სამსახურში“. პრეზიდენტს ესაჭიროებოდა უკვე ისედაც წარმატებული კაცი, რომელიც სახელმწიფო სამსახურისგან არავითარ პირად გამორჩენას არ ელოდა, რომელსაც ეს სამსახური პირად ბიზნესში დროსა და მოგებასაც კი დააკარგვინებდა, მაგრამ მოქალაქეობრივი და პატრიოტული მოსაზრებებით მზად იქნებოდა გაეღო ეს მსხვერპლი.



ეიზენჰაუერის წიგნი „ჯვაროსნული ლაშქრობა ევროპაში“

თავდაცვის მინისტრად ამერიკისა და მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი კომპანიის – „ჯენერალ მო-

ჰარი ტრუმენი და დუაიტ ეიზენჰაუერი

რიჩარდ ნიქსონი და დუაიტ ეიზენჰაუერი მეუღლეებთან ერთად

ადლაი სტივენსონი და დუაიტ ეიზენჰაუერი

ტორსის“ პრეზიდენტი ჩარლზ უილსონი შეარჩიეს. სწორედ უილსონს უკავშირებენ ცნობილ ფრაზას – „რაც კარგი იყო ჩვენი ქვეყნისათვის, ის კარგი იყო „ჯენერალ მოტორსისთვის“ და პირიქით“. ფინანსთა მინისტრად მიიწვიეს ასევე დიდი კომპანიის – „მარკ ე. ჰანას კომპანის“ პრეზიდენტი ჯორჯ ჰემფრი, შინაგან საქმეთა მინისტრად – ასევე ყოფილი ბიზნესმენი, ორეგონის გუბერნატორი დუგლას მაკკეი; ვაჭრობის მინისტრად – კონსერვატიული მსოფლმხედველობის ბიზნესმენი მასაჩუსეტსიდან – სინკლერ უიქსი.

ახლადარჩეული პრეზიდენტის პროგრამა ტრადიციული კონსერვატიული რეცეპტებით იყო დახუნძლული, მაგრამ, რეალურად, ნათლად გამოიკვეთა, რომ იგი ფრანკლინ რუზველტის მიერ ჩამოყალიბებული ეტატისტური (სახელმწიფოს წამყვანი როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში) „ახალი კურსის“ მემკვიდრეობისა და რესპუბლიკელთა კონსერვატიული მიდგომების ერთმანეთთან მისადაგებას ცდილობდა. მართლაც, მან არამც თუ შეამცირა, არამედ კიდევ უფრო განავრცო „ახალი კურსის“ უდიდესი მიღწევა – სოციალური დაზღვევის სისტემა და უფრო მეტი ადამიანი მოაქცია მისი მოქმედების არეალში.

1953 წელს პრეზიდენტის ინიციატივით შეიქმნა ჯანმრთელობის, განათლებისა და კეთილდღეობის სამინისტრო, რომელიც ფედერალურ სოციალურ პროგრამებს არეგულირებდა. ტრადიციულად, ურთულესი იყო უმუშევრების საკითხი, მაგრამ ეიზენჰაუერმა ამ სფეროშიც საკმაო მოქნილობა გამოამჟღავნა. 1954 წლის ეკონომიკური ვარდნის შედარებით ხანმოკლე პერიოდში, როდესაც უმუშევრობამ 6 პროცენტს მიაღწია, მან უარი თქვა ეკონომიკური აღმავლობის რესპუბლიკელთათვის ჩვეულ პასიურ მოლოდინზე და აქტიური ნაბიჯები გადადგა ვითარების გამოსასწორებლად – „არაფრის კეთებისაგან გამომდინარე საფრთხე გაცილებით მეტია, ვიდრე მეტისმეტის კეთებისაგან“. ამასთან ერთად პრეზიდენტს უარი არც სახელმწიფო ხარჯების დაზოგვით ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებაზე უთქვამს.

ჯეიმს ფორესტოლი და დუაიტ ეიზენჰაუერი

უმუშევრობის პრობლემის გადასაწყვეტად ადმინისტრაცია საზოგადოებრივი სამუშაოების გაფართოების პოლიტიკას დაადგა და მნიშვნელოვნად გადააჭარბა კიდეც „ახალი კურსის“ მასშტაბებს. ნაწილობრივ ეს გამოიკვეთა მეტად ვრცელი და უხვად დაფინანსებული ფედერალური ავტომაგისტრალების მშენებლობის პროგრამაშიც. ამავე პერიოდში დაწესდა შრომის ანაზღაურების მინიმალური თანხა – 1 დოლარი საათში.

კოსმოსში პირველი ხელოვნური თანამგზავრის, საბჭოთა „სპუტნიკის“ გაშვებით შეშფოთებულმა ეიზენჰაურმა 1958 წელს მხარი დაუჭირა ეროვნული აერონავტიკისა და კოსმოსის ადმინისტრაციის შექმნას. ფედერალური ხარჯებით დააფინანსეს სამეცნიერო კვლევების 90 პროცენტი ავიაციის, კოსმოსის, ავტომობილებისა და ელექტრონიკის სფეროში.

აღსანიშნავია, რომ ეიზენჰაუერმა ნავთობის სანაპირო სარეწებზე კონტროლი არა ფედერალურ მთავრობას, არამედ უშუალოდ შტატების ხელისუფლებას გადასცა. იგი, სკოლების მშენებლობის გარდა, ყველა სხვა ასპექტში, კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ფედერალური ხელისუფლების აქტიურობას განათლების სფეროში, გამოდიოდა ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევის წინააღმდეგაც, ვინაიდან ეს „მედიცინის სოციალიზაციად“ მიაჩნდა. პრეზიდენტი ხშირად იმეორებდა აბრაამ ლინკოლნის სიტყვებს, რომ სახელმწიფოს ფუნქციაა ადამიანებისთვის ის გააკეთოს, რისი გაკეთებაც მათ ინდივიდუალურად ან სულ არ შეუძლიათ, ან კარგად ვერ აკეთებენ. ხოლო ყველა დანარჩენ შემთხვევაში მათ ცხოვრებაში არ უნდა ჩაერიოს.

1949 წელს, ამერიკაში მოგზაურობის შემდეგ, ბრიტანელი ისტორიკოსი რობერტ ფეინი აღფრთოვანებული წერდა: „ჯერ არ ყოფილა ამერიკაზე ზღაპრული ქვეყანა. იგი კოლოსივითაა. ჯერ არც ერთ ქვეყანას არ ჰქონია ასეთი მრავალმხრივი და უდიდესი გავლენა სხვა ქვეყნებზე. მსოფლიოს სიმდიდრის ნახევარი, წარმოების ნახევარზე მეტი, მსოფლიოში არსებული მანქანების ორი მესამედი ამერიკელთა ხელშია, მთელი მსოფლიო ამერიკის მრეწველობის ჩრდილქვეშაა მოქცეული“. მართლაც, 1950-დან 1962 წლამდე ამერიკული ეკონომიკის წლიური ზრდა დახლოებით 2,5-3 პროცენტი იყო, ეს ყველაფერი კი მილიონობით ახალი სახლისა თუ ქარხნის მშენებლობას გულისხმობდა, თავისი ინფრასტრუქტურით, იქნებოდა ეს გზები, წყალგაყვანილობა, სავაჭრო ცენტრები თუ სხვა. თანაც ყველაფერი ფასების მეტად უმნიშვნელო ზრდის ფონზე მიმდინარეობდა. შესაბამისად, მნიშვნელოვნად იზრდებოდა თითოეული ადამიანის რეალური შემოსავალი.

ეიზენჰაუერის მმართველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ახალი ავტომაგისტრალების გრანდიოზული ქსელის მშენებლობა. 1956 წლის 29 ივნისს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი შტატებსშორისი და თავდაცვითი ავტომაგისტრალების ეროვნული კანონის მიხედვით, 42 ათასი მილის (67 ათასი კილომეტრი) სიგრძის ავტომაგისტრალების ქსელის შესაქმნელად 10 წლის მანძილზე 26 მილიარდი დოლარი უნდა დახარჯულიყო. იმ უდიდესი ღვაწლისათვის, რომელიც ეიზენჰაუერს მიუძღოდა ამ იდეის განხორციელებაში, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის გადაწყვეტილებით, ამ გზების სისტემას „დუაიტ ეიზენჰაუერის სახელობის შტატებსშორისი და თავდაცვის ავტოსტრადების ეროვნული სისტემა“ ეწოდა.

და მართლაც, ამ სისტემამ უზარმაზარი როლი შეასრულა ამერიკის ისტორიასა და მისი ეკონომიკის განვითარებაში: სიჩქარის ზრდისა და გასასვლელების გაფართოება-გაუმჯობესების წყალობით შემცირდა გადაზიდვის ღირებულება; საოცრად დამოკლდა მანძილებიც. საშუალო მაჩვენებლებს თუ

ჩარლზ უილსონი
(1890–1961)

სინკლერ უიქსი
(1893 –1972)

დუგლას მაკკეი
(1893 –1959)

ჯორჯ ჰემფრი
(1890 –1970)

ავიღებთ, ამ გზებმა დაახლოებით 20 პროცენტით შეამცირა ქალაქებს შორის მანძილი; ამასთან, კომერციისათვის გაიხსნა შუა დასავლეთის შედარებით იზოლირებული ქალაქები. ავტოსტრადებმა ხელი შეუწყო ეროვნული ბაზრის განვითარებას, რადგან ამერიკულ კომპანიებს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში პროდუქციის უფრო იაფად მიწოდება გაუადვილდათ, რამაც დადებითად იმოქმედა ფასების შემცირებაზე; ავტოსტრადების სისტემამ სამუშაო ადგილებიც გააჩინა, რომ აღარაფერი ვთქვათ თვით გზის მშენებლობაში დასაქმებული ადამიანების რაოდენობაზე. ავტოსტრადებმა გზასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა განავითარა, იქნებოდა ეს ბენზინგასამართი სადგურები, გზისპირა რესტორნები, სასტუმროები თუ სხვა. ავტოსტრადების წყალობით გაზრდილმა მობილურობამ მეტი შესაძლებლობა მისცა ამერიკელებს როგორც სამუშაოს, ისე საცხოვრებელი ადგილის შერჩევისას. უფრო მეტ ადამიანს მიეცა საშუალება დიდი ქალაქებისაგან მოშორებულ ადგილებში იაფად შეეძინა კარ-მიდამო, რაც ე.წ. ამერიკული ოცნების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იყო; ამ ავტოსტრადებმა მრავალი ამერიკელი უფრო მჭიდროდ დააკავშირა დიდ კულტურულ ცენტრებთანაც, რაც დადებითად აისახა მოსახლეობის სულიერ ცხოვრებაზე. შეიძლება ითქვას, რომ ამ ავტოსტრადებმა კიდევ უფრო შეამცირა განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის; ავტოსტრადებმა მრავალგზის აანაზღაურა მათ მშენებლობაში დაბანდებული თანხები. გამოთვლილია, რომ თავისი არსებობის დაახლებით 40 წლის მანძილზე, 1957-დან 1996 წლამდე, ამ გზებმა ამერიკულ ეკონომიკას ჯამში 1 ტრილიონზე მეტი დოლარი დაუზოგა.

ეკონომიკურ ზრდაზე უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ ცალმხრივი მოძრაობის წყალობით, ამ ავტომაგისტრალებზე მნიშვნელოვნად გაიზარდა უსაფრთხოების სტანდარტი, რამაც ფატალური შედეგები 60 პროცენტით შეამცირა.

ეიზენჰაუერის ერთ-ერთი მთავარი დაპირება, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნებში მისი გამარჯვება განაპირობა, იყო კორეის ომის სასწრაფო, დაუყოვნებლივ დასრულება. პრეზიდენტმა ეს პირობა პირნათლად შეასრულა – 1953 წლის 27 ივლისს ზავი გაფორმდა. ამ შეთანხმების საფუძველზე ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია გამარჯვებას და ვითარება ომის წინა მდგომარეობას დაუბრუნდა, როდესაც კორეა 38-ე პარალელის გაგრძელებაზე იყო გაყოფილი. როგორც ვიცით, ეს ქვეყანა დღესაც ორ ნაწილადაა გაყოფილი და ახლო მომავალში მის გაერთიანებას პირი არ უჩანს. ამ ომში დაიღუპა 54 ათასი ამერიკელი და თითქმის მილიონი ჩინელი და კორეელი, როგორც ჩრდილოეთიდან, ისე სამხრეთიდან.

საბჭოთა „სპუტნიკი“ ორბიტაზე

ავტომაგისტრალის მშენებლობა

დიდი ადამიანები

როდესაც ეიზენჰაუერი პრეზიდენტი გახდა, მთავარ ამოცანად ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა დაისახა. საერთოდ, მას ერჩია უფრო საგარეო საქმეებით ყოფილიყო დაკავებული. ეს მის საინაუგურაციო გამოსვლაშიც აისახა – ტრადიციის საპირისპიროდ, პრეზიდენტმა საერთაშორისო პრობლემებზე მეტად გაამახვილა ყურადღება. ახალი ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული „ახალი ხედვის“ მიხედვით, ატომური იარაღი უფრო იაფი და უფრო ეფექტიანიც იყო და მის ხარჯზე შეიძლებოდა ძვირადღირებული ჩვეულებრივი შეიარაღებისა და არმიის შემცირება.

ეიზენჰაუერს მიაჩნდა, რომ ნატო იყო ამერიკის თავდაცვის მთავარი ზღუდე და რომ სწორედ ძლიერი ევროპა იყო უმნიშვნელოვანესი კომპონენტი ყველა, მათ შორის, აზიის პრობლემის გადასაწყვეტად. ნატოს გაძლიერებისთვის კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ბლოკში გერმანიის სრულფასოვან და აქტიურ ჩართვას. ამდენად, 1955 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ნატოს სრულფასოვანი წევრი გახდა.

ამ მოვლენების საპასუხოდ საბჭოთა კავშირმა მაშინვე შექმნა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია, რომელშიც საბჭოთა ბლოკის სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები გაერთიანდნენ. კერძოდ კი, ეს იყო ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ალბანეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და, რასკვირველია, საბჭოთა კავშირის სამხედრო კავშირი.



50-იანი წლების გზისპირა კინოთეატრი

ამერიკამ საბოლოოდ თქვა უარი ტრადიციული ამერიკული იზოლაციონიზმის ყოველგვარ გამოვლინებაზე და საკუთარ თავზე აიღო თავისუფალი სამყაროს დაცვა კომუნისტური საფრთხისაგან. ეიზენჰაუერის მიპატიჟებით საბჭოთა ლიდერი ნიკიტა ხრუშჩოვი 1959 წლის 15 სექტემბერს აშშ-ში ჩავიდა. ვიზიტის დასრულებისას გამოქვეყნებულ კომუნიკეში აღნიშნული იყო, რომ პრეზიდენტებს შორის გაიმართა გულახდილი საუბარი, გამოითქვა იმედი, რომ აზრთა გაცვლა ხელს შეუწყობდა ერთმანეთის პოზიციების უკეთ გაგებას და, აქედან გამომდინარე, ხანგრძლივი მშვიდობის მიღწევას. იქვე იყო ხაზგასმული, რომ ორივე ლიდერის აზრით, განიარაღების პრობლემა უმთავრესი იყო თანამედროვე სამყაროში და ორივე მხარე ეცდებოდა კონსტრუქციული გადაწყვეტილების მიღწევას.

შემცირდა აგრეთვე იმის საშიშროებაც, რომ ბერლინის გამო ომი დაიწყებოდა და პრობლემური



50-იანი წლების მაკდონალდსის გზისპირა რესტორანი

1960 წლის 1 მაისს საბჭოთა საჰაერო თავდაცვამ დღევანდელ ეკატერინბურგთან ჩამოაგდო ამერიკული მზვერავი თვითმფრინავი, რომელიც ღრმად შეიჭრა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. პილოტი – ფრანსის გარი პაუერსი – დაიჭირეს და ჯაშუშობის ბრალდებით მიუსაჯეს 10 წელი, თუმცა 1962 წელს გაცვალეს საბჭოთა ოფიცერზე, რუდოლფ აბელზე. ეს ინციდენტი ხრუშჩოვსა და ეიზენჰაუერს შორის პარიზში დაგეგმილ შეხვედრამდე ორი კვირით ადრე მოხდა, რამაც ამერიკის მხარე უხერხულ სიტუაციაში ჩააყენა და ორ ქვეყანას შორის არსებული ისედაც რთული ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბა.

ამერიკული მზვერავი თვითმფრინავი U-2

საკითხების განხილვა 1960 წლისთვის, პარიზში დაგეგმილი დიდი ოთხეულის მოლაპარაკებებისთვის, გადაიდო.

მაგრამ 1960 წლის 1 მაისს საბჭოთა კავშირის თავზე ამერიკული მზვერავი თვითმფრინავის U-2 ჩამოგდებამ ყველაფერი ყირაზე დააყენა. ხრუშჩოვმა, პირადად ეიზენჰაუერთან საბოლოოდ რომ არ გაეფუჭებინა ურთიერთობა, ისიც კი განაცხადა, რომ ალბათ ამერიკის პრეზიდენტმა არ იცოდა ამის შესახებ და ეს სამხედროების დამოუკიდებელი ქმედება იყო. მაგრამ ეიზენჰაუერმა სიმართლე არ დამალა და საკუთარ თავზე აიღო სრული პასუხისმგებლობა. ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ამ მოვლენამ შეაფერხა ცივი ომის დასრულება. ეიზენჰაუერიც ნანობდა, ორი წელი მივდიოდი ამისაკენ და ამ თვითმფრინავის სულელურმა ისტორიამ ჩაშალა ეს დაზავებაო. მართლაც, ძალზე დასანანი ამბავი მოხდა, ვინაიდან ცივი ომის დროს საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის არსებულმა დაპირისპირებამ პლანეტის თითქმის ყველა კუთხე მოიცვა და მრავალი ადამიანის სიცოცხლეც შეიწირა ირანში, გვატემალაში, უნგრეთში, კუბაზე თუ სხვაგან.

არსებული ვითარების გათვალისწინებით, მიუხედავად მთელი რიგი ხარვეზებისა, ამერიკის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ალბათ, ეიზენჰაუერის საგარეო პოლიტიკა, საბოლოო ჯამში, მაინც უფრო დადებითად შეიძლება შეფასდეს: უპირველს ყოვლისა, მისი დიდი დამსახურებაა, რომ „ცივი ომი“ „ცხელ ომში“ არ გადაიზარდა. ამერიკის უსაფრთხოება დაცული იყო და ეს დაცულობა, იმ ეტაპზე მაინც, ვერც საბჭოთა „სპუტნიკმა“ შეარყია. მართალია, ეიზენჰაუერმა აღმოსავლეთ ევროპას ვერ დაუბრუნა თავისუფლება და ეს 1956 წელს უნგრეთშიც კარგად გამოჩნდა, მაგრამ მეტიც აღარ დაუთმია საბჭოეთისთვის. ტრუმენის ადმინისტრაციისაგან განსხვავებით, ეიზენჰაუერის დროს პლანეტაზე არც ერთი ახალი კომუნისტური სახელმწიფო არ შექმნილა. თუმცა მისმა ადმინისტრაციამ ვერ გათვალა კუბაში წარმოქმნილი მემარცხენე რადიკალიზმის საფრთხე.

მიუხედავად პაუერსის მზვერავი თვითმფრინავის სკანდალისა, სწორედ ეიზენჰაუერმა შექმნა მეტ-ნაკლებად ნორმალური ურთიერთობების საფუძველი საბჭოთა კავშირთან, რამაც, თავის მხრივ, ატომური ომის შესაძლებლობა შეამცირა.

2009 წელს ამერიკელ ისტორიკოსთა გამოკითხვით, ეიზენჰაუერი, თავისი მიღწევებით, პრეზიდენტებს შორის მე-8 ადგილს იკავებდა. ეიზენჰაუერმა თითქმის შეუძლებელი შეძლო და მინიმალური დანაკარგით დაუბრუნა ამერიკას პოლიტიკური სტაბილურობა, შეინარჩუნა „ახალი კურსის“ საუკეთესო მონაპოვარი და, ამავე დროს, ქვეყნის კონსერვატიული იდეოლოგიაც ააღორძინა.

1956 წლის აჯანყება უნგრეთში

უნგრეთში 1956 წელს მომხდარი აჯანყება მიმართული იყო საბჭოთა კონტროლის წინააღმდეგ. ოქტომბერ-ნოემბერში მიმდინარე ანტისაბჭოთა გამოსვლები საბჭოთა ჯარებმა დიდი სისასტიკით ჩაახშეს. უნგრეთის მხრიდან დაიღუპა 2500-ზე მეტი ადამიანი, საბჭოთა ჯარისკაცებს შორის – 700-მდე. 200 000 უნგრელი იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა.